საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ.თბილისში, სანდრო ეულის ქ.№3, ნაკვეთი №01.14.05.007.211-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში".

შ.პ.ს „სანდრო ეული"-ის ხელმძღვანელობის ფხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის 5 ივლისს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქ.№3 , ნაკვეთ №01.14.05.007.211-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ.თბილისში, სანდრო ეულის ქ.№3 ნაკვეთ №01.14.05.007.211-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „თბილინვესტპროექტი"-ის გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2015 წლის სექტემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი ი. ცხომელიძე. მათ ლაბორატორიაშია შესრულებული თიხოვანი გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თბისებების გამოკვლევა, ხოლო კლდოვანი გრუნტების თვისებების გამოკვლევა ჩატარდა საქართველოს გ. წულიკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

ამრიგად საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექნიკური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე----------7გვ.
2. თექნიკური დავალება----------1გვ.
3. ჭრის გრაფიკები----------6გვ.
4. ჩხრილი გრუნტების თვისებებზე----------1გვ.
5. ჩხრილი გრუნტების წყლის ქიმიურ შედგენილობაზე----------1გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა----------1ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები----------3ფურც.
8. ოედნის გეოლოგიური ჭრილები----------3ფურც.

პროექტით საკვლევ უბანზე უნდა აშენდეს 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. შენობის ზომებია გეგმაში 42X18 მ. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით ან

ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, საერთო სიგრძით 22 მეტრი. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი გრუნტი
2. ფენა – 2 – თიხნარი, მყარი
3. ფენა – 3 – ძლიერ გამოფიტული არგილითები და ქვიშაქვები
4. ფენა – 3 – არგილითები და ქვიშაქვები საშუალო სიმტკიცის

ანგარიშში მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების თვისებები. კლდოვანი გრუნტები, როგორც ავღნიშნეთ გამოკვლეულია საქართველოს სამთო საქმის ინსტიტუტში. მიღებული შედეგების საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებებს ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა ზედაპირიდან 7.5 მეტრ სიღრმეზე. დამყარებული დონე 7.0 მეტრი. წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქ.№13, ნაკვეთ №01.14.05.007.211-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

შ.პ.ს. არქსტუდია „ნიაპი“-ს დირექტორი /ვ. ძავანია/

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე ჭოხონელიძეს

იმაზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ. ი. ლენინის სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1972 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ. „30“ ივნისის გადაწყვეტილებით გ. ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა სამთო ინჟინერ-ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე [signature]

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2“ აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский яз.